ქ. თბილისი, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობების

(1/3-2/3, 3/1, 4/1, 5/1, 6/3, 7/3, 8/3, 9/3, 10/1, 11/1, 12/1, 13/1 /01.15.02.006.011/)

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

თბილისი
2012წ.

ქ. თბილისი, თარხნიშვილის ქ. №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობების

(1/3-2/3, 3/1, 4/1, 5/1, 6/3, 7/3, 8/3, 9/3, 10/1, 11/1, 12/1, 13/1 /01.15.02.006.011/)

დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

დირექტორი: ბ. მირიანაშვილი

შეადგინა: თ. ზარქუა

თბილისი
2012წ.

ს ა რ ჩ ე ვ ი

-	სარჩევი	დპ-1
I	სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება	დპ-2
II	დასანგრევი შენობის დახასიათება და ნგრევის პირობები	დპ-3
III	ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა	დპ-4
IV	დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები	
V	დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები	დპ-6
VI	რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები	დპ-8
VII	მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	დპ-9
VIII	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები	დპ-10
IX	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ნორმატიული ბაზა	
–	გენგეგმა, დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გეგმა	დპ-11
	დანართი 1 - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; - საკადასტრო გეგმა; - აზომვითი ნახაზები; /არსებული შენობა/ - არსებული შენობა-ნაგებობები ფოტომასალა;	

I. სამშენებლო მოედნისა და ობიექტის დახასიათება

1.1 სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისი, თარხნიშვილის №2, ნაკვეთი 01.15.02.006.011. პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების (1/3-2/3, 3/1, 4/1, 5/1, 6/3, 7/3, 8/3, 9/3, 10/1, 11/1, 12/1, 13/1 /01.15.02.006.011/) დემონტაჟი /იხილეთ დანართი 1; საკადასტრო გეგმა; გენგეგმა ფურცელი დპ-11./

1.2 ნაგებობების დემონტაჟის წინ აუცილებელია არსებული ქსელების ჩაჭრა, საექსპლოატაციო ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ დადგენილი ნორმატიული და კანონმდებლობითი პირობების გათვალისწინებით.

1.3 დემონტაჟის წინ მოხდეს ტერიტორიის შემოღობვა და მომზადება.

1.4 შესასვლელი გათვალისწინებულია ხორავას ქუჩის მხრიდან. ასევე დემონტაჟის პერიოდში განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ბანერი დემონტაჟის წარმოებაზე და უსაფრთხოების ღონისძიებებზე. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა ტერიტორიაზე.

1.5 ტერიტორიის შიგნით მოეწყობა დროებითი ნაგებობები, რომლის დადგმის ადგილი დაზუსტდეს ადგილზე. ასევე დაცული უნდა იყოს ღონისძიებები მტვრის გაბნევისაგან, ამიტომ დაშლის ადგილები სასურველია დაინამოს.

* * *

II. დასანგრევი შენობების დახასიათება და ნგრევის პირობები

2.1. წარმოდგენილი გენგეგმით მშენებლობის ქვეშ გამოთავისუფლებული ტერიტორიის ფართობია 7214,3კვ.მ. შენობა-ნაგებობის საძირკვლები – ლენტური. კედლები - აშენებულია აგურით, ბლოკით. სახურავი ქანობიანი ხის ნივნივებზე, ასევე ბრტყელი გადახურვა.

2.2 ტექნიკური მაჩვენებლები შემდეგია:

დასანგრევი ნაგებობა №	დასანგრევი ნაგებობის ფართი კონტურზე მ²	დასანგრევი ნაგებობის სავარაუდო მოცულობა 0.00 ნიშნულს ზევით ≈ მ³	დასანგრევი ნაგებობის სავარაუდო მოცულობა 0.00 ნიშნულს ქვევით ≈ მ³
თარხნიშვილი ქუჩა №2; ნაკვეთი 01.15.02.006.011, S3854,000მ²			
1/3-2/3	2398,1	8527,4	3597,15
6/3	1459,2	5107,2	2188,8
7/3	1217,7	5682,6	1826,55
8/3	1054,1	3883,6	1581,15
9/3	823,2	2263,8	1234,8
13/1	41,3	140,42	28,91
10/1	85,8	291,72	60,06
11/1	11,6	39,44	8,12
5/1	31,4	106,76	21,98
12/1	52,5	178,5	36,75
4/1	8,2	27,1	16,26
3/1	31,2	106,08	21,84
სულ	**7214,3**	**26354,6**	**10622,4**
საერთო ტექნიკური მაჩვენებლები			
მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი (კვ.მ)			**3854,0**
საერთო ფართობი (კვ.მ)			**7214,3**
სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ)			**36976,99**
სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულს ზევით (კუბ.მ)			**26354,6**
სამშენებლო მოცულობა 0,00 ნიშნულს ქვევით (კუბ.მ)			**10622,4**
შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ)			**15,80**
იგივე 0,00 ნიშნულს ზევით (მ)			**15,80**
იგივე 0,00 ნიშნულს ქვევით (მ)			**1,5**

შენიშვნა: შენობის ფართები დათვლილია ტოპოგეგმაზე არსებული შენობა-ნაგებობების კონტურების მიხედვით;

2.3 დემონტირებული კონსტრუქციები და მასალები დემონტაჟის პროცესშივე დაიტვირთება ავტოთვითმცლელებზე და გატანილ იქნება სამშენებლო მოედნიდან.

III. ნგრევის ხანგრძლივობის დადგენა

3.1 აღნიშნულ ნაკვეთზე დასანგრევია სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისი, თარხნიშვლის ქუჩა №2ში, ნაკვეთი 01.15.02.006.011. პროექტით გათვალისწინებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების (1/3-2/3, 3/1, 4/1, 5/1, 6/3, 7/3, 8/3, 9/3, 10/1, 11/1, 12/1, 13/1). დასანგრევი შენობა – კედლები აგური და ბლოკი, სართულშუა გადახურვები ხის კონსტრუქცია, ასევე რკ.ბეტონის. სახურავი ხის ნივნივებზე ქანობიანი, ასევე ბრტყელი გადახურვა. დემონტაჟი განხორციელდება ეტაპობრივად. ტერიტორიაზე გათვალსიწინებულია ორი შესასვლელი, თარხნიშვლის და ხორავას ქუჩის მხრიდან იხ. გენგეგმა. შენობა ნაგებობების დემონტაჟი განხორციელდება **9 თვის** პერიოდით, სადაც ერთი თვე იქნება მოსამზადებელი პერიოდი. მისი დაცვა შესაძლებელია უწყვეტი ფინანსირების პირობებში, რასაც ხელი უნდა შეუწყოს კარგმა კლიმატურმა პირობებმა.

3.2 აღნიშნულის საფუძველზე შედგა დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი **იხ. ფურცელი დპ-11.**

* * *

IV. დემონტაჟის საინჟინრო მომზადება და მისი წარმართვის ცალკეული ეტაპები

4.1. ჩვენს მიერ შედგენილი მოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია” მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

4.2. დემონტაჟის პროექტის დამუშავებას საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:

- დავალება დემონტაჟზე;
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- ტოპოგეგმა; საკადასტრო გეგმა, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ობიექტის ნატურაში დათვალიერება;
- არსებული აზომვითი ნახაზები;
- არსებული შენობა-ნაგებობები - ფოტომასალა.

4.3. დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობით.

4.4. მიიღებს თუ არა დამკვეთისაგან დამტკიცებულ საპროექტო დოკუმენტაციას, სამშენებლო ორგანიზაცია საჭიროების შემთხვევაში ამუშავებს სამუშაოთა წარმოების პროექტს. ამ პროექტის შედგენა უნდა ხდებოდეს დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისობით.

4.5. სამუშაოთა დაწყება დაიშვება საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე შესაბამისი სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს დროებითი შენობების განთავსება, გამოყენებულ იქნას არსებული ინფრასტრუქტურა. სამშენებლო მოედნის უზრუნველყოფა დროებითი წყლით და ენერგიით არსებული ქსელებიდან, აქტის შედგენა მოსამზადებელი პერიოდის სამუშაოების შესახებ.

ტერიტორიაზე ქუჩის მხარეს მოეწყოს „Г“ ტიპის ღობე წითელი ხაზების გასწვრივ უსაფრთხოების მიზნით, რომელიც უნდა განთავსდეს შენობიდან 2,5მ, სქემები იხ. ფურცელი დპ-11. შესასვლელი ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ორი მხრიდან არსებული თაღებით. პირველ ეტაპზე მოხდება არსებული შენობა ნაგებობების დაცლა. შემდგომ მოხდება 1/3-2/3, 3/1 შენობის დემონტაჟი, შემდეგ 6/3 და ა.შ. ეზოში არსებული ერთ სართულიანი ნაგებობები დემონტაჟის პერიოდში შეიძლება გამოყენებულ იქნას დროებით ნაგებობად, რომლის დემონტაჟი განხორციელდება დემონტაჟის წარმოების ბოლო პერიოდში. დემონტაჟის პერიოდში შიდა ეზოს მხარეს მოეწყოს ნაგავსატარები, საიდანაც მოხდება სამშენებლო ნაგავის დატვირთვა ავტოტვითმცლელებზე. ასევე სამშენებლო ნაგავის დასატვირთად გამოყენებულ იქნას თვლებიანი კომპაქტური დამტვირთველი.

ყველა ზემოთ მოხსენიებული წესის დაცვის შემდეგ უნდა მოხდეს დაშლის დაწყება არსებული ღობის შიგნით.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს მიმდევრობითი მეთოდით ზემოდან ქვევით და სათანადო კომისიის დასწრებით. პირველ ეტაპზე მოხდება მოიხსნება სახურავი, შემდგომი პერიოდი დაეთმობა არსებული კედლების დაშლას ეტაპობრივად. სამუშაოების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული: ყველა კონსტრუქციის დროებითი გამაგრება, მუშების სათანადო ინსტრუქტაჟი და უზრუნველყოფა სპეციალური ტანსაცმლით და სათვალეებით, ნაგვის გატანა ავტოთვითმცელების საშუალებით. აქტის შედგენა ძირითადი პერიოდის სამუშაოების შესახებ. სამშენებლო ნაგავი გატანილ იქნას

მოედნიდან, შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული ნებართვით, შესაბამის ადგილზე.

ავარიული სიტუაციის შემთხვევაში უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება და ყველა სადემონტაჟო კონსტრუქციების გამაგრება. ყველა საშიში ადგილი უნდა იყოს შემოღობილი სათანადო განათებით ღამის საათებში.

თავდაპირველად მოხდება შენობებიდან არსებული სამშენებლო ნაგვისგან გაწმენდა, დატვირთვა ა/მ და გატანა სამშენებლო მოედნიდან.

სამშენებლო ნაგვის და გრუნტის გატანა მოხდება ავტოთვითმცლელებით.

4.6 სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამოთვლილი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით. სამუშაოები უნდა შესრულდეს სნ და წ III-15-80-ით გათვალისწინებული მოთხოვნების სრული დაცვით.

4.7 დაშლა ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

* * *

V. დემონტაჟის წარმოების წესები და მეთოდები

5.1 მშენებლობის ორგანიზაცია და სადენმონტაჟო სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მომქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა ,,კრებული სამახსოვრო ,,სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მოქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან. მათი ნაწილი (ტირაჟიდან შემორჩენილი) ინახება სამინისტროს შპს ,,მშენაღდგენაში“ და დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილია მოქმედი ნორმები და წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 111-4-80 ‘,,უსაფრთხოების ტექნიკაში“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტჟო სამუშაოთა წარმოების დროს;

- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;

5.3. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

- გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
- წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;

გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო და სადემონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

* * *

VI. რეკომენდებული სამშენებლო მანქანა-დანადგარები, მექანიზმები და ინსტრუმენტები

6.1. დემონტაჟის ნორმების უწყვეტი რითმისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მისი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მათი რეკომენდირებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში.

№	დასახელება	ერთ. განზ.	რაოდენობა, ცალი
1	2	3	4
1	მობილური ამწე	ც	1
2	სანგრევი ჩაქუჩები	ც	5
3	ექსკავატორი 0.5მ^3 ჩამჩის ტევადობით	ც	1
4	ლითონის ელექტრომჭრელი	ც	4
5	ავტოთვითმცლელები	ც	6
6	თვლებიანი კომპაქტური დამტვირთველი	ც	1
7	შედუღების აპარატი	ც	1
8	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	10

6.2. *რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი.*

* * *

VII. მშენებლობაზე შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა

მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე უნდა იყოს დაცული თანახმად „სნ და წ 111-4-80 უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე.

7.1. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

7.2 მაღალ სადემონტაჟო სიმაღლეზე მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ასვლისათვის უნდა დაიდგას ინვენტარული კიბეები ყოველ 25-30 მეტრზე და მოეწყოს ხარაჩოები.

7.3 სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე უნდა წარმოებდეს გვერდიდან ან უკანა მხრიდან.

7.4 ზოგიერთ სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს და თავსაბურავებს.

7.5 ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია საქ. სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

7.6 სატრანსფორმატორო ქვესადგურიდან უნდა მოხდეს სამწვერიანი ელექტროკაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, მრიცხველის დაყენება საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

* * *

VIII. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები

8.1. დემონტაჟისას აუცილებელია განხორციელდეს სპეციალური ღონისძიებები მიმდინარე ტერიტორიის დამტვერიანებისაგან თავის ასაცილებლად. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ნაგვის ჩაყრა უშუალოდ თვითმცლელი ავტომანქანების ძარებში.

8.2 დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭებში მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

8.3 ასევე არსებული საკანალიზაციო ქსელის პირობებში მიზან-შეწონილად ვერ ჩაითვლება დროებითი ტუალეტის მოწყობა ამოსახაპ ორმოზე. მათი დროებითი ჩართვაც სასურველია საკანალიზაციო კოლექტორში.

8.4 ზემოთ მითითებული დებულებებიდან გამომდინარე შენობათა დემონტაჟი უნდა განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით მომქმედი საკანონმდებლო აქტებისა და ნორმატული დოკუმენტების შესაბამისობით.

* * *

IX. დპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა

9.1. სნ და წ 3. 0.1 0.1-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია”.

9.2. სნ და წ 1. 0.4 0.3-85 „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები საცხოვრებელი სახლები მშენებლობაზე”.

9.3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შედგენის ეტალონი სამხრეთის მთიანი რაიონებისათვის.

9.4. კრებული-სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები „ამონაკრები მომქმედი სამშენებლო ნორმებიდან და წესებიდან“, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი, 1987 წელი ქართულ ენაზე.

9.5 სნ და წ III - 4-80 „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაზე”.

ბენბეგმა მ. 1:1000



სქემატური ჭრილები

დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი

№	ძირითადი სამუშაოების დასახელება	თვე	1	2	3	4	5	6	7	8	9
		დღე	25	25	25	25	25	25	25	25	25
1	ტერიტორიის მომზადება	25	1 25								
-	*ნაგებობა №1/3-2/3, 3/1*										
2	სახურავის მოხსნა, კარ-ფანჯრების მოხსნა, კედლების დაშლა და ა.შ.	50		2 50							
-	*ნაგებობა №6/3, 7/3,*										
3	სახურავის მოხსნა, კარ-ფანჯრების მოხსნა, კედლების დაშლა და ა.შ.	75				3 75					
-	*ნაგებობა №8/3, 9,3*										
4	სახურავის მოხსნა, კარ-ფანჯრების მოხსნა, კედლების დაშლა და ა.შ.	75						3 75			
-	*ნაგებობა №13/1, 10/1, 11/1, 5/1, 4/1 12/1*										
5	სახურავის მოხსნა, კარ-ფანჯრების მოხსნა, კედლების დაშლა და ა.შ.	50							2 50		
6	*სამუშაოების დასრულება*	25									1 25

მითითება: დემონტაჟის პერიოდის ათვლა იწყება დემონტაჟის ნებართვის გაცემის დღიდან.

ფორმატი	A-3	დაკვეთის №
თბილისი 2012 წ.		

ჰიროგითი აღნიშვნები:

- სადემონტაჟო შენობა-ნაგებობები
- დროებითი ღობე
- პროჟექტორი
- დროებითი შესასვლელი

მითითებანი:

1. დაცულ იქნას უსაფრთხოების ღონისძიებები;
2. აკრძალულ იქნას უცხო პირების მოხვედრა სამშენებლო მოედანზე;
3. გამოყენებულ იქნას არსებული ინფრასტრუქტურა.
4. თარხნიშვილის და ხორავას ქუჩაზე შენობიდან 2.5 მეტრში მოეწყოს ,,¿" ტიპის დროებითი ღობე, იხ. გენგეგმა და სქემატური ჭრილები;
5. შესასვლელთან განთავსდეს ბანერები: სამშაოთა წარმოების და უსაფრთხოების წესების დაცვაზე;
6. სამშენებლო ნაგავი ეტაპობრივად გატანილ იქნას მოედნიდან, რისთვისაც შემუშავდეს შესაბამისი გრაფიკი მშენებლობის პერიოდში;

პროექტის სახელწოდება

ქ. თბილისი, თარხნიშვილის №2-ში მდებარე შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი

შპს "ახალი საქართველოს მშენებლობა"

ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

Phone: (995 32) 37 52 26

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი		ბ.მირიანაშვილი
შესრულა		თ. ზარქუა

დასახელება	მასშტაბი
გენგეგმა, დემონტაჟის განხორციელების კალენდარული გრაფიკი	1:1000

სტადია	ფურცელი	ფურცლები
მპ	დპ-11	11

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.15.02.006.011**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882012955549 - 03/10/2012 10:10:16

მომზადების თარიღი
04/10/2012 11:20:49

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	მთაწმინდა		
01	**15**	**02**	**006/011**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა თარხნიშვილი , N 2 (ყოფ. კობის ქუჩა N4)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:3854.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**06;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობები N1,N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12, N13

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882010704097 , თარიღი 16/07/2010 17:23:57
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/08/2010

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N505-პ , დამოწმების თარიღი:18/01/2008 ,სახელმწიფო საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N100551880 , დამოწმების თარიღი:08/06/2010 ,ნოტარიუსი ლ.ბუხრიკიძე
- საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა N1949-პ , დამოწმების თარიღი:14/07/2010 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ნასყიდობის ხელშეკრულება N1-14737 , დამოწმების თარიღი:21/12/2007 ,ნოტარიუსი ც.ბერიძე

მესაკუთრეები:
შპს "ემჯიაი", ID ნომერი:205197865

მესაკუთრე:	**აღწერა:**
შპს "ემჯიაი"	N1 საერთო ფართობით 1319.2 კვ.მ, N2 საერთო ფართობით 573.0 კვ.მ, N3 საერთო ფართობით 30.0 კვ.მ, N4 საერთო ფართობით 10.0 კვ.მ, N6 საერთო ფართობით 851.4 კვ.მ, N7 საერთო ფართობით 1208.5 კვ.მ, N8 საერთო ფართობით 692.9 კვ.მ, ნაგებობა N5 საერთო ფართობით 32.4 კვ.მ, N10 და N11 საერთო ფართობით 92.0 კვ.მ, შენობა-ნაგებობა N9-ში I სართულზე არსებული 158.76 კვ.მ. ფართი მეორე სართული საერთო ფართობით 763.9 კვ.მ, მესამე სართული საერთო ფართობით 785.6 კვ.მ.

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012955549 თარიღი 03/10/2012 10:10:16	**იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "თიბისი ბანკი",** **მესაკუთრე: შპს "ემჯიაი"** 205197865; საგანი:დაზუსტებული ფართობი:3854.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა - ნაგებობა; **იპოთეკის ხელშეკრულება N12312395749, რეესტრის ნომერი N121066369, დამოწმების თარიღი02/10/2012, ნოტარიუსი მ. გვაზავა**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/10/2012	

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

შებღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 012006030951 თარიღი 08/06/2006	ელ. ჯიხურთან მისასვლელი გზა - მიწის ნაკვეთი ფართობით 96 კვ.მ დაიტვირთოს სერვიტუტით

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში ან "პრივატბანკის" სწრაფი გაღახდის აპარატიდან.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.15.02.006.011*

დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*

განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 021418-08

ნაკვეთის ფართობი: *3854* კვ.მ.

თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

მომზადების თარიღი 31.01.08



მასშტაბი: 1:1,000

0 20 40 მ

მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი

სერვიტუტი

ხაზოვანი ნაგებობა

შენობა ნაგებობა

მშენებარე ნაგებობა

0.00 0.00 UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.

შენობა-ნაგებობა



I სართული

საერთო ფართობი:	1113.4 კვ.მ
სასარგებლო ფართობი:	609.0 კვ.მ
დამხმარე ფართობი:	504.4 კვ.მ

შიდა აზომვითი ნახაზი

დამკვეთი	შპს "ემჯიაი"	ი.მ "ვაჟა დიერაშვილი"	
შენობის მისამართი	თბილისი თარხნიშვილის ქ №2	შეასრულა	ვაჟა დიერაშვილი
		კომპიუტერული უზრუნველყოფა ვაჟა დიერაშვილი	06.03.2012 წ

ინდივიდუალური მეწარმე "ვაჟა დიერაშვილი" VAZHA DIERASHVILI ENTERPRISE 400010061195

შენობა-ნაგებობა



II სართული

საერთო ფართობი:	1457.4 კვ.მ
სასარგებლო ფართობი:	965.2 კვ.მ
დამხმარე ფართობი:	492.2 კვ.მ

შიდა აზომვითი ნახაზი

დამკვეთი	შპს "ემჯიაი"			ი.მ "ვაჟა დიერაშვილი"
შენობის მისამართი	თბილისი თარხნიშვილის ქ №2	შეასრულა		ვაჟა დიერაშვილი
		კომპიუტერული უზრუნველყოფა	ვაჟა დიერაშვილი	06.03.2012 წ

შპს "ვაჟა დიერაშვილი" VAZHA DIERASHVILI ENTERPRISE 400010061



III სართული

საერთო ფართობი:	1780.0 კვ.მ
სასარგებლო ფართობი:	1239.2 კვ.მ
დამხმარე ფართობი:	540.8 კვ.მ

შიდა აზომვითი ნახაზი

დამკვეთი	შპს "ემჯიაი"			ი.მ "ვაჟა დიერაშვილი"
შენობის მისამართი	თბილისი თარხნიშვილის ქ №2	შეასრულა		ვაჟა დიერაშვილი
		კომპიუტერული უზრუნველყოფა	ვაჟა დიერაშვილი	06.03.2012 წ

შპს "ვაჟა დიერაშვილი" ENTERPRISE "VAZHA DIERASHVILI"



IV სართული

საერთო ფართობი: 1243.8 კვ.მ

სასარგებლო ფართობი: 749.8 კვ.მ

დამხმარე ფართობი: 494.0 კვ.მ

შიდა აზომვითი ნახაზი

დამკვეთი	*შპს "ემჯიაი"*	*ი.მ "ვაჟა დიერაშვილი"*	
შენობის მისამართი	*თბილისი თარხნიშვილის ქ №2*	*შეასრულა*	*ვაჟა დიერაშვილი*
		კომპიუტერული უზრუნველყოფა	*ვაჟა დიერაშვილი*
			06.03.2012 წ

PRIVATE ENTERPRISE "VAZHA DIERASHVILI" 400010006183

დანართი 1











